

შესაძლებელია თუ არა მოხდეს რამდენიმე საქონლის კომპლექტაცია ერთ საქონლად, მასზე გასაყიდი ფასის დანიშვნა და მისი ასეთი სახით რეალიზაცია?

დოკუმენტი „ნომენკლატურის კომპლექტაცია“ (დოკუმენტები -> მარაგები -> ნომენკლატურის კომპლექტაციები) განკუთვნილია საქონლის კომპლექტაციისა და კომპლექტებად დაშლისათვის.

#	მაკომპლექტებელი	რაოდენობა	საზომი ერთ...	კ.	მაკომპლექტებელის მახასიათებელი	მაკომპლექტებლის სე...	ს
1	JVC AV-14FMG6S 21"	5,000	ცალი	1,000			
2	TOSHIBA SD-550	5,000	ცალი	1,000			

განხორციელებადი ოპერაციის სახე (კომპლექტაცია ან კომპლექტებად დაშლა) ირჩევა ღილაკის „**ოპერაცია**“ საშუალებით.

ჩანართზე „კომპლექტი“, ცნობარიდან „ნომენკლატურა“ ირჩევა კომპლექტი, რომელიც უნდა შეიკრიბოს ან დაიშალოს, ხოლო ჩანართზე „მაკომპლექტებლები“ იწერება მაკომპლექტებლების სია.

„**შეესების**“ ღილაკის საშუალებით შეიძლება ავტომატურად შეივსოს მაკომპლექტებლების სია იმ კომპლექტთან შესაბამისობაში, რომელიც მითითებულია კომპლექტისათვის ცნობარში „ნომენკლატურა“, ცნობების რეგისტრში „მაკომპლექტებელი ნომენკლატურა“.

მაკომპლექტებლების რაოდენობა ეთითება იმ კომპლექტის შესაბამისად, რომელიც დაფიქსირებულია ცნობარში „ნომენკლატურა“ და კომპლექტის იმ რაოდენობის მიხედვით, რომელიც მითითებულია აღნიშნულ დოკუმენტში.

სიაში შეიძლება სურვილისამებრ შეიცვალოს რაოდენობა და დაემატოს ახალი მაკომპლექტებლები, იმის მიუხედავად, თუ როგორი მაკომპლექტებლებია მითითებული

კომპლექტის შემადგენლობაში, მონაცემების რეგისტრში „მაკომპლექტებელი ნომენკლატურა“. მონაცემების რეგისტრი „მაკომპლექტებელი ნომენკლატურა“ შეიძლება გამოძახებულ იქნას ცნობარიდან „ნომენკლატურა“, „გადასვლის“ ღილაკზე დაჭერით და მენიუში შესაბამისი პუნქტის ამორჩევით.

კომპლექტაციის დოკუმენტი შედგება ორი ეტაპისგან, რომლებიც ერთ დოკუმენტში ფორმდება, ეს ოპერაციებია: მაკომპლექტებლების ჩამოწერა და მზა კომპლექტის შემოსვლა საწყობში. ამასთანავე მაკომპლექტებლების ჩამოწერა ხორციელდება მათი თვითღირებულებით, ხოლო საწყობში კომპლექტის შემოსვლისას იწერება თვითღირებულება, რომელიც ტოლია მაკომპლექტებლების თვითღირებულების ჯამის.

კომპლექტაციის დოკუმენტი შეიძლება შეყვანილ იქნას მყიდველის შეკვეთის საფუძველზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი უკვეთავს კომპლექტს, რომელიც მოცემული დროისათვის არ არის საწყობში.

კომპლექტების დაშლის ოპერაციაც შედგება ორი ეტაპისაგან, კონკრეტულად ეს ეტაპებია კომპლექტის ჩამოწერა საწყობიდან და მაკომპლექტებლების საწყობში შემოსვლა. მაკომპლექტებლების თვითღირებულება, რომლის მიხედვითაც ისინი საწყობში შემოდიან, გამოითვლება კომპლექტის თვითღირებულების იმ წილის შესაბამისად, რომელიც მითითებულია მაკომპლექტებლისათვის.

მაგალითად, კომპლექტის თვითღირებულებაა 100 ლარი. კომპლექტი შედგება სამი დეტალისაგან. პირველი დეტალისათვის ველში „ღირებულებითი წილი“ მითითებულია - 1, მეორე დეტალისთვის - 5, ხოლო მესამე დეტალისათვის - 4. დოკუმენტის გატარების შემდეგ, პირველი დეტალი საწყობში შემოვა 10 ლარი თვითღირებულებით, მეორე დეტალი - 50 ლარი, ხოლო მესამე დეტალი - 40 ლარი.

კომპლექტის არის ნომენკლატურის დამოუკიდებელი ცნობარის ელემენტი, რომელზეც შესაძლებელია ფასის დანიშვნა დოკუმენტით „ნომენკლატურის ფასების დადგენა“ (დოკუმენტები -> ფასწარმოქმნა -> ნომენკლატურის ფასების დადგენა).